



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საგრეგულო



გ ა ნ გ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 251

24 მაისი  
“—” 2024 ვ

## ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ჰეიდარ ალიევის სანაპირო, №9-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე  
(საკადასტრო კოდი: №01.10.13.016.072) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების  
რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“  
მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2  
პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის  
24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის  
ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ  
თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 16 მაისის №24.830.926  
განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, ჰეიდარ ალიევის სანაპირო, №9-ში არსებულ  
მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.13.016.072) მრავალფუნქციური კომპლექსის  
განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ  
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების  
სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [ms.gov.ge](http://ms.gov.ge) რეგისტრირებული №0124067342-67  
(№012410811-67; №01241128-67; №01241211783-67), განაცხადის და თანდართული  
დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, ცასატარებელი ღონისძიებების  
განხორციელება და ევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო  
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით  
აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 24.830.926  
16 / მაისი / 2024 წ.

ქალაქ თბილისში, ჰეიდარ ალიევის სანაპირო N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.072) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 7 მარტს N0124067342-67 (N012410811-67; N01241128-67; N01241211783-67) განცხადებით მიმართა ლაშა პაპაშვილმა (პ/ნ 01008006654) და მოთხოვა ქალაქ თბილისში, ჰეიდარ ალიევის სანაპირო N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.072) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ჰეიდარ ალიევის სანაპირო N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.072). საპროექტო ფართობი: 7 681 კვ.მ. ტერიტორიას აღმოსავლეთით ესაზღვრება საქალაქთაშორისო გამზირი და მდინარე მტკვარი, ჩრდილოეთით - კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, დასავლეთით - სარეკრეაციო სივრცე, სამხრეთ-დასავლეთით - სს „ბიოქიმფარმი“, ხოლო სამხრეთით - შპს "ლუკოილ-ჯორჯიას" ბენზინგასამართი სადგური და სათაო ოფისი; საპროექტო არეალი, დღევანდელი მდგომარეობით, წარმოადგენს 1 საკადასტრო ერთეულს.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ზოგადი საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსტ);

საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, ჰეიდარ ალიევის სანაპირო N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.072) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის N59 განკარგულებით დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით ტერიტორიის განვითარება იგეგმება საშოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსტ-2). საპროექტო ტერიტორიაზე განთავსდება მრავალფუნქციური კომპლექსის სახით 1 შენობა-ნაგებობა (2 ბლოკი) (დომინირებულად საშოგადოებრივი - 75%; საცხოვრებელი - 25%), რომელთა სართულიანობა მიწისზედა 14-27 სართული (სიმაღლე 100 მეტრი), ხოლო, მიწისქვეშ განთავსდება 3 სართული ავტოსადგომებისთვის. განვითარების წინადადებით წარმოდგენილი გეგმარებით იგეგმება საავტომობილო გზის მოწყობა (სერვისური) შიდა კვარტალური სივრცის სახით.

საპროექტო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი : 7 681 კვ. მ.

საპროექტო მიწის ნაკვეთების რაოდენობა: 1;



კ-1- 0,5 ( 4 100 კვ.მ.);

კ-2- 4,6 (35 600 კვ.მ.);

კ-3- 0,2 (1 536.2 კვ.მ.);

შენობების რაოდენობა: 1 (2 ბლოკი);

სართულიანობა: მაქსიმუმ 14 -27 (სიმაღლე 100 მეტრი);

ფუნქციური გადანაწილება:

საცხოვრებელი - 25 %

სავაჭრო/კომერციული/სასტუმროს/საოფისე - 75 %

გამწვანებული ტერიტორიების ფართი: 1 536.2 კვ.მ.

ავტოსადგომების განთავსება სრულად მოხდეს მიწისქვეშ.

არსებული ფუნქციური ზონირება- ზოგადი საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ);

საპროექტო ფუნქციური ზონირება - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2);

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5<sup>1</sup> პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაშე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაშე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ.-ს (გარდა ღამის კლუბის, სასახური, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2024 წლის 22 მარტის N01240821873 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანაბმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა

და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 1 მაისის N01241221791 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინაპლანური გეგმის დამტკიცებად.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, პეტერ ალიევის სანაპირო N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.072) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N0124067342-67 (N012410811-67; N01241128-67; N01241211783-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, პეტერ ალიევის სანაპირო N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.13.016.072) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განვარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განვარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განვარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განვარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განვარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე





# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01240821873  
თარიღი: 22/03/2024

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 7 მარტის №0124067342-67 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ჰეიდარ ალიევის სანაბიროზე, №9-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.10.13.016.072; არსებული ფუნქციური ზონა: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა; საპროექტო ფუნქციური ზონირება: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის „შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების „შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპრტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა მოიჭრას პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი 13 ძირი (ს/კ: 01.10.13.016.072 - №1-13) ჯანსაღი მწვანე ნარგავი შენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (არსებული შესანარჩუნებელი: 24 ძირი ხემყრალა, 4 ძირი აკაცია, 3 ძირი კავკასიური აკაკი; საპროექტოდ დასარგავი: 4 ძირი იტალიური ფიჭვი, 4 ძირი ჰიმბლაის კედარი, 6 ძირი იაპონური სოფორა, 10 ძირი რობინია (ცრუაგაცია), 7 ძირი ჩვრილფოთოლა ცაცხვი, 10 ძირი ჩვეულებრივი იფანი; ჯამში - 72 ერთეული) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის სავალდებულო საანგარიშო ფართობს (სსზ-2 = 0.2 = 1 536.2 მ<sup>2</sup>).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

დამატებით გაცნობებთ, რომ განმცხადებელმა დეტალური პროექტირების ეტაპზე დენდროლოგიურ გეგმასა და გამწვანების კროკებზე დატანილი კ-3 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობები შესაბამისობაში უნდა მოიყანოს დენდროლოგიურ დაფაზე მითითებულ მონაცემთან.

ამასთანავე, ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე გაედინება შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდერის“ კუთვნილი სწალსადენ-წყალარინების ქსელები, საჭიროა, განმცხადებელმა გაითვალისწინოს მის მიმართ დადგენილი შეზღუდვები და მიღებადენის ზონაში არ მოხდეს მრავალწლიანი ნარგავების გაშენება. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება სხვა საზომორივი ნაგებობებიც, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ყოველივე შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკარო  
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის და ურბანული  
განვითარების სამსახური



წერილის ნომერი: 01241221791

თარიღი: 01/05/2024

2024 წლის 30 აპრილის N 01241211783-67 განცხადების პასუხად, რომელიც შექმნა ქალაქ თბილისში, ჰერიდარ ალიენის სანაპირო N 9-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.10.13.016.072) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებას:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგრმარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა დადგებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2024 წლის 5 თებერვლის N 01240362652-67 განცხადების პასუხად N 01240373743 წერილით.

ვინაიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისსმო გარემოებები, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.


წარმოდგენილია შეთნხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, თანხმობის წერილებთნ ერთად შესაბამის ველში.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი








ნაბეჭდის სახელი

საროვერტო  
ტერიტორიაზე  
შენობათა განთავსების

გეგმა

ფაზის მდგრად კავშირის მიხედვით  
A3 გამოშენები  
AZ გამოშენები  
პროექტის აღნიშვნები

შენობათა განთავსების  
საკუთრებული ანუ ლი



შენობათა განთავსების  
საკუთრებული ანუ ლი

მომსახურებული გამოშენები  
გამოშენები  
გამოშენები  
გამოშენები


სახელმწიფო სამინისტრო  
სამსახურის  
სამსახურის  
სამსახურის  
სამსახურის

ფაზის მდგრად კავშირის მიხედვით

#  
ID ნომერი  
ფაზის მდგრად კავშირის მიხედვით  
00 A.28 30

მაქსიმალური სიმაღლის  
დალაგენის გეოგა

ფრატოტო - მარტინ  
A3 - დავით საჩილი  
პროდოლი აღნიშვნება



000	A.29	31
000	#	
000	ID ნოუზე:	გარეული


**მოწის ნაკვეთის  
დატაღური  
რეზლაშვერის რეზისის  
ლოკუმენტი**

ც. 603.03

ფასის ტერიტორია  
A3  
პრივატული აღნიშვნები

AZ

ფასის ტერიტორია



024509249 მდგრადი ცისტენი	0970960700 0.26166923.0 0.26166923.0	0.338307730000 0.12792301.000	0.360490467000 0.071675201.000	0.360490467000 0.071675201.000	0.360490467000 0.071675201.000	0.360490467000 0.071675201.000	0.360490467000 0.071675201.000	0.360490467000 0.071675201.000
7 031 23.0	067 0240900 0.26166923.0	0.360490467000 0.071675201.000						

00 A.32 34  
# ID ნოტი უკავშირი